

სს „ევექსი ჰოსპიტლები“

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2021 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძველი.....	12
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	13
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	13
5. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები.....	13
6. ძირითადი საშუალებები.....	14
7. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები.....	14
8. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები.....	14
9. ნასესხები სახსრები.....	15
10. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.....	15
11. პირობითი ვალდებულებები.....	16
12. საკუთარი კაპიტალი.....	16
13. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან.....	17
14. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება.....	17
15. წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია.....	17
16. კაპიტალის მართვა.....	18
17. რისკის მართვა.....	19
18. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	20
19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	21

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	30 ივნისი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	44,483	66,918
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	5	107,981	88,435
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		19,214	16,426
გადახდილი ავანსები		5,396	4,033
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები		105	86
ძირითადი საშუალებები	6	405,388	406,764
აქტივის გამოყენების უფლება	7	2,363	2,752
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	8	45,685	49,380
სხვა აქტივები		20,998	26,447
სულ აქტივები		651,613	661,241
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები		21,328	17,823
კრედიტორული დავალიანება		40,788	41,262
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		-	15
საიჯარო ვალდებულებები	7	2,792	3,168
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები		389	389
ნასესხები სახსრები	9	127,008	148,781
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	10	113,238	112,986
სხვა ვალდებულებები		18,527	4,750
სულ ვალდებულებები		324,070	329,174
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	47,828	47,828
დამატებით შეტანილი კაპიტალი	12	174,524	174,524
სხვა რეზერვები	12	(14,604)	(14,604)
გაუნაწილებელი მოგება		93,561	99,289
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი საკუთარი კაპიტალი		301,309	307,037
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		26,234	25,030
სულ საკუთარი კაპიტალი		327,543	332,067
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		651,613	661,241

1-22 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია სს „ვექსი ჰოსპიტლების“ დირექტორთა საბჭოს მიერ 2021 წლის 14 აგვისტოს და დირექტორთა საბჭოს სახელით მას ხელს აწერენ შემდეგი პირები:

ირაკლი გოგია

გენერალური დირექტორის მოადგილე

2021 წლის 14 აგვისტო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
30 ივნისის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	30 ივნისი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	44,483	66,918
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	5	107,981	88,435
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		19,214	16,426
გადახდილი ავანსები		5,396	4,033
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები		105	86
ძირითადი საშუალებები	6	405,388	406,764
აქტივის გამოყენების უფლება	7	2,363	2,752
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	8	45,685	49,380
სხვა აქტივები		20,998	26,447
სულ აქტივები		651,613	661,241
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები		21,328	17,823
კრედიტორული დავალიანება		40,788	41,262
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		-	15
საიჯარო ვალდებულებები	7	2,792	3,168
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები		389	389
ნასესხები სახსრები	9	127,008	148,781
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	10	113,238	112,986
სხვა ვალდებულებები		18,527	4,750
სულ ვალდებულებები		324,070	329,174
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	47,828	47,828
დამატებით შეტანილი კაპიტალი	12	174,524	174,524
სხვა რეზერვები	12	(14,604)	(14,604)
გაუნაწილებელი მოგება		93,561	99,289
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი საკუთარი კაპიტალი		301,309	307,037
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		26,234	25,030
სულ საკუთარი კაპიტალი		327,543	332,067
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		651,613	661,241

1-22 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია სს „ვეექსი ჰოსპიტლების“ დირექტორთა საბჭოს მიერ 2021 წლის 14 აგვისტოს და დირექტორთა საბჭოს სახელით მას ხელს აწერენ შემდეგი პირები:

ირაკლი გოგია

გენერალური დირექტორის მოადგილე

2021 წლის 14 აგვისტო



სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	30 ივნისი 2021	30 ივნისი 2020
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	13	151,749	125,350
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	14	(89,970)	(79,250)
საერთო შემოსავალი		61,779	46,100
სხვა საოპერაციო შემოსავალი		954	3,237
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,161)	(11,930)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(4,642)	(4,903)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშებისა და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება		(1,728)	(2,137)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(1,253)	(4,615)
		(20,784)	(23,585)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		41,949	25,752
ცვეთა და ამორტიზაცია		(12,552)	(15,192)
საპროცენტო შემოსავალი		1,829	5,813
საპროცენტო ხარჯი		(11,380)	(14,589)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან და სავალუტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება		401	(2,376)
წმინდა არარეგულარული ხარჯი		(809)	(66)
წლის (წაგება)/მოგება უწყვეტი საქმიანობიდან		19,438	(658)
მოგების გადასახადი		-	-
წლის (წაგება)/მოგება, სულ, რომელიც განკუთვნილია:		19,438	(658)
- კომპანიის აქციონერებისთვის		18,271	(2,346)
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		1,167	1,688

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	განკუთვნილი კომპანიის აქციონერებისთვის					არასა- კონტრო- ლო პაკეტი	სულ საკუთარი კაპიტალი
	სააქციო კაპიტალი	დამა- ტებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერ- ვები	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ		
31 დეკემბერი, 2019 წ.	47,828	256,368	(14,604)	132,481	422,073	69,589	491,662
პერიოდის მოგება	-	-	-	(1,023)	(1,023)	365	(658)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	(1,023)	(1,023)	365	(658)
საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების შესყიდვა	-	(700)	-	-	(700)	-	(700)
წილობრივი ანაზღაურება (15-ე შენიშვნა)	-	1,200	-	-	1,200	-	1,200
30 ივნისი, 2020 წ.	47,828	256,868	(14,604)	131,458	421,550	69,954	491,504

	განკუთვნილი კომპანიის აქციონერებისთვის					არასა- კონტრო- ლო პაკეტი	სულ საკუთარი კაპიტალი
	სააქციო კაპიტალი	დამა- ტებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერ- ვები	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ		
31 დეკემბერი, 2020 წ.	47,828	174,524	(14,604)	99,289	307,037	25,030	332,067
პერიოდის მოგება	-	-	-	18,271	18,271	1,167	19,438
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	18,271	18,271	1,167	19,438
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(23,999)	(23,999)	-	(23,999)
წილობრივი ანაზღაურება (15-ე შენიშვნა)	-	-	-	-	-	-	-
სხვა	-	-	-	-	-	37	37
30 ივნისი, 2021 წ.	47,828	174,524	(14,604)	93,561	301,309	26,234	327,543

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	<i>შენიშვნა</i>	<i>30 ივნისი 2021</i>	<i>30 ივნისი 2020</i>
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი		129,214	151,509
ჯანდაცვის მომსახურების გადახდილი თვითღირებულება		(85,789)	(77,356)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,369)	(7,721)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(6,162)	(7,254)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		45	1,222
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(1,427)	(320)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		22,512	60,080
მოგების გადახდილი გადასახადი		(46)	(43)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		22,466	60,037
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(7,414)	(9,727)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,284)	(671)
გაცემული სესხები		-	(12,450)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		2,322	855
სხვა საინვესტიციო საქმიანობა		6,183	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,193)	(21,993)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები		11,000	21,600
ნასესხები სახსრების დაფარვა		(29,717)	(35,606)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა, ძირი		(293)	(298)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა, დარიცხული პროცენტი		(91)	(85)
საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების შესყიდვა		-	(700)
მშობელ კომპანიაზე გაცემული დივიდენდები		(11,992)	-
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(11,161)	(8,100)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(42,254)	(23,189)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,454)	371
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		(22,435)	15,226
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		66,918	4,564
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	4	44,483	19,790

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ევექსი ჰოსპიტლები“ არის 2014 წლის 1 აგვისტოს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: ა. ბელიაშვილის ქ. 142, თბილისი, საქართველო. კომპანია და შვილობილი კომპანიები ქვემოთ მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“ ან „ევექსი“. ჯგუფი სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოების ქსელის მეშვეობით.

2021 წლის 30 ივნისისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევექსის 100%-იანი წილის მფლობელი იყო სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების საბოლოო მშობელი კომპანია იყო ინგლისში, ლონდონში, დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალი“. „ჯორჯია კაპიტალის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია: ინგლისი, W1K 5EH, ლონდონი, ბრუკ სთრითი #84. „ჯორჯია კაპიტალის“ რეგისტრაციის ნომერია 10852406.

კომპანია მოიცავდა საქართველოში დაფუძნებულ შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს:

	წილობრივი მონაწილეობა / ხმის უფლება		საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შემენის თარიღი	იურიდიული მისამართი
	30-ივნ-2021	31-დეკ-2020				
შვილობილი კომპანიები						
გნკო	10%	10%	ჯანდაცვა	4-ივნ.-01	5-აგვ.-15	ჭავჭავაძის გამზ. 16, თბილისი, საქართველო
შპს „ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრი“	8%	8%	ჯანდაცვა	28-სექტ.-10	5-აგვ.-15	წინანდლის ქ. 9, თბილისი, საქართველო
მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა	10%	10%	ჯანდაცვა	16-აპრ.-99	5-აგვ.-15	წინანდლის ქ. 9, თბილისი, საქართველო
შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრი“	99.8%	99.8%	ჯანდაცვა	12-იანვ.-12	30-ივნ.-15	ქვთარაძის ქ. 23, თბილისი, საქართველო
შპს „ევექს-ლოჯისტიკა“	100%	100%	ჯანდაცვა	13-თებ.-15	არა	ვაჟა-ფშაველას გამზ. 40, თბილისი, საქართველო
სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი“	67%	67%	ჯანდაცვა	5-მაის.-03	29-ნოემბ.-11	ჯავახიშვილის ქ. 85, ქუთაისი, საქართველო
შპს „ა. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი“	67%	67%	ჯანდაცვა	15-ოქტ.-04	29-ნოემბ.-11	ა. ჯავახიშვილის ქ. 83ა, ქუთაისი, საქართველო
ა(ა)იპ „ევექსის სასწავლო ცენტრი“	100%	100%	სხვა	20-დეკ.-13	20-დეკ.-13	ჯავახიშვილის ქ. 83ა, თბილისი, საქართველო
შპს „ემერჯენსი სერვისი“	85%	85%	ჯანდაცვა	18-ივნ.-13	1-მარტ.-15	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო
სს „პედიატრი“	76%	76%	ჯანდაცვა	5-სექტ.-03	6-ივლ.-16	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო
შპს „ახალი კლინიკა“	100%	100%	ჯანდაცვა	3-იანვ.-17	20-ივლ.-17	ვაჟა-ფშაველას გამზ. 40, თბილისი, საქართველო
მეკავშირე საწარმოები						
ა(ა)იპ „ჯანდაცვის ასოციაცია“	25%	25%	ჯანდაცვა	25-მარტ-16	არა	ვაჟა-ფშაველას გამზ. 27ბ, თბილისი, საქართველო
ააიპ „საქართველოს სამედიცინო ტურიზმის საბჭო“	28.6%	28.6%	ჯანდაცვა	25-მარტ-16	არა	კორპ. N10, N13ბ, 1-2 სართული, წუმის ბაღების ქ. #1, წყნეთი, ვაკის რაიონი, თბილისი

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი

COVID-19

საქართველოში COVID-19-ის პანდემიის დაწყების შემდეგ, 2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა დანერგა ფულადი სახსრების დაგროვებისა და შენახვის სტრატეგია. COVID-19-ის ვირუსის ფართო გავრცელების გამო ჯგუფმა მოახდინა ჯანდაცვის მომსახურების ექვსი ობიექტის მობილიზაცია, სადაც ხდებოდა მხოლოდ COVID-იანი პაციენტების მიღება და ასევე ჯანდაცვის მომსახურების ჰიბრიდული შვიდი ობიექტის მობილიზაცია, რომლებიც ემსახურებოდა როგორც COVID-იან, ისე სხვა პაციენტებს. საქართველოს მთავრობა სრულად ანაზღაურებს COVID-19-ის მკურნალობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და COVID-იანი პაციენტების მიერ დაკავებულ ყოველ საწოლზე ფიქსირებულ ანაზღაურებას იხდის. განხორციელდა რამდენიმე ინიციატივა, რომლებიც მოიცავდა სათანადოდ მომზადებულ სამედიცინო კადრებს, იზოლირებულ პალატებსა და სრულად აღჭურვილ ინტენსიური თერაპიის თუ გადაუდებელი დახმარების ბლოკებს. მთელ ჯგუფში დანერგა ინფექციის პრევენციისა და გადაუდებელი დახმარების პროგრამები და სახელმძღვანელო მითითებები.

მომზადების საფუძველი

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ყველა ინფორმაციას რომელიც სავალდებულოა ყოველწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის.

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოთხოვს მენეჯმენტის მიერ გარკვეული დაშვებების გაკეთებას, რომლებიც ზეგალენას ახსენს მოგება-ზარალისა და აქტივებისა და ვალდებულების თანხებზე, ასევე პირობითი ვალდებულებების ბალანსებზე იმ თარიღისათვის, რომელი თარიღისთვისაც ეს ანგარიშგება არის მომზადებული. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის ეს დაშვებები დამყარებულია მენეჯმენტის საუკეთესო შეფასებაზე, რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს გაკეთებული დაშვებებისაგან.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

COVID-19-ით გამოწვეულ გაურკვეველობაზე რეაგირებისთვის, ჯგუფმა დასახა სამოქმედო გეგმა მთელი ჯგუფის მასშტაბით, რათა დაეკმაყოფილებინა გარე მოთხოვნა, ჩვენი მომხმარებლებისა და პაციენტების საჭიროებები და ასევე უზრუნველყო ჩვენი თანამშრომლების კეთილდღეობა და საქმიანობა ორგანიზაციის დონეზე. ჯგუფის აქტივები კონცენტრირებულია თავდაცვით კონტრიკულურ სექტორზე: ჯანდაცვის ბიზნესზე. გარდა ამისა, ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტიურად ცდილობს კაპიტალის განაწილების მინიმუმამდე დაყვანას, საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციის გეგმების დანერგვასა და ნაღდი ფულის შენახვას, რაც წარმოადგენს საფუძველს მისი, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ დასკვნისთვის. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ჯგუფი ფლობს 44,483 ლარის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს (მე-5 შენიშვნა), რომლებიც მაღალლიკვიდურად მიიჩნევა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ჯგუფისათვის აქტუალური სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტები თანხვედრაშია იმ სტანდარტებთან, რომელიც გამოყენებული იყო 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გარდა გამონაკლისი სტანდარტებისა, რომლებიც მიღებულ იქნა 2021 წლის 1 იანვარს. 2021 წელს რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია მოქმედებს პირველად, მაგრამ გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

საორიენტაცია საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - მეორე ფაზა: შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-სა და ფასს 16-ში

ცვლილებები ითვალისწინებს დროებით შეღავათებს, რომლებიც ეხება ფინანსური ანგარიშგების ეფექტებს, როდესაც ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთი (IBOR) შეიცვლება ალტერნატიული, პრაქტიკულად ურისკო საპროცენტო განაკვეთით (RFR).

ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<i>30 ივნისი 2021</i>	<i>31 დეკემბერი 2020</i>
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	44,394	66,822
ნაღდი ფული სალაროში	89	96
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	44,483	66,918

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაქტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

5. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

	<i>30 ივნისი 2021</i>	<i>31 დეკემბერი 2020</i>
სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშები	92,732	71,190
ფიზიკური პირებისგან და სხვა მისაღები ანგარიშები	27,049	28,691
სადაზღვევო კომპანიებისგან მისაღები ანგარიშები	7,958	6,744
	127,739	106,625
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(19,758)	(18,190)
სულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები, წმინდა	107,981	88,435

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს 2021 წლის 30 ივნისისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 405,388 ლარია (2020 წ.: 406,764 ლარი). კომპანიის ძირითადი საშუალებების თვითღირებულება 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 496,869 ლარს შეადგენდა (2020 წ.: 482,706 ლარი), ხოლო დაგროვილი ცვეთა 91,481 ლარს (2020 წ.: 75,942 ლარი).

7. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფს საიჯარო ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული იმ შენობებზე, რომლებსაც თავის საქმიანობაში იყენებს. შენობების იჯარის ვადა, როგორც წესი, ერთიდან ათ წლამდეა. ჯგუფის საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. ჯგუფს გარკვეული ტექნიკა 12 თვემდე ვადით აქვს იჯარით აღებული, და აგრეთვე იჯარით აქვს მიღებული დაბალი ღირებულების მქონე აღჭურვილობა. ჯგუფი ამ იჯარებისთვის იყენებს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს. ჯგუფის საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. არცერთი ხელშეკრულებით არ არის ჯგუფი ვალდებული, რომ რამე ფინანსურ კოეფიციენტებს აკმაყოფილებდეს.

ჯგუფმა გააანალიზა იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებების არსებობა. ყველა ხელშეკრულება შეიცავს ან ფულად ან ეკონომიკურ ჯარიმას ხელშეკრულების მთლიან ვადაზე. ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, მეიჯარეს ხშირად ეკისრება ფულადი ჯარიმის გადახდა მოიჯარისთვის, რათა მას აუნაზღაუროს საიჯარო ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები. თითქმის ყველა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, ორივე მხარისთვის არის გათვალისწინებული ეკონომიკური ჯარიმა. მოიჯარისთვის ეკონომიკურ ჯარიმას წარმოადგენს ის მნიშვნელოვანი დრო და ძალისხმევა, რომელსაც იგი მოახმარს ახალი ობიექტის მოძიებას და საიჯარო ქონების გაუმჯობესებას ახალი ობიექტის კონკრეტული საჭიროებებისთვის მოსარგებად. მეიჯარისთვის ეკონომიკური ჯარიმა გულისხმობს გადახდისუნარიან მოიჯარესთან სტაბილური ურთიერთობის დაკარგვას. საოფისე ფართის შემთხვევაში, ეკონომიკური ჯარიმა ნიშნავს მნიშვნელოვან დროს, ძალისხმევას და ხარჯს, რომელიც უკავშირდება ოფისის და მისი ინფრასტრუქტურის სხვა ადგილზე გადატანას. პრაქტიკაში, როგორც ჯგუფის ისტორიული სტატისტიკა გვიჩვენებს, ზემოაღნიშნული ფულადი და ეკონომიკური ჯარიმები გამოიხატება სტაბილური ურთიერთობების და საიჯარო ხელშეკრულებების ვადამდე შეწყვეტით, რაც მხოლოდ 1%-მდე შემთხვევებში ხდება.

ჯგუფს არ გამოუვლენია ხელშეკრულებები, რომლებიც ფიქსირებული გადახდების გარდა შეიცავს ისეთ ცვალებად გადახდებსაც, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე.

აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 2,363 ლარს შეადგენდა (2020 წ.: 2,752). საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 2,792 ლარს შეადგენდა (2020 წ.: 3,168).

8. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილის ტესტირებას ყველაზე დაბალ, საოპერაციო სეგმენტის, დონეზე მონიტორინგს უწევს ხელმძღვანელობა. ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას. გაუფასურების ბოლო ტესტირება ჯგუფმა ჩაატარა 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. ჯგუფს არ გამოუვლენია გუდვილის რამენაირი გაუფასურება 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრა ხელმძღვანელობის ზედა რგოლის მიერ დამტკიცებულ, ერთიდან სამ წლამდე ვადის, ფინანსურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით ფულადი ნაკადების პროგნოზების გამოყენებით გაანგარიშებული გამოყენების ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საოპერაციო სეგმენტების ანაზღაურებადი ღირებულება აღემატება საბალანსო ღირებულებას 252,952 ლარით, 15.0%-იანი დისკონტირების განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში. დისკონტირების განაკვეთი, რომელიც საოპერაციო სეგმენტების გამოყენების ღირებულებას უტოლებს საბალანსო ღირებულებას, არის 19.7%.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

გუდვილის გაუფასურების ტესტირების ჩატარებისას შემდეგი ძირითადი დაშვებები გაკეთდა:

- დისკონტირების განაკვეთი გამოთვლილია კაპიტალური აქტივების ფასდადების მოდელის გამოყენებით დარგის ბეტა კოეფიციენტზე დაყრდნობით.
- საშუალო, სტაბილური 5%-იანი რეალური მშპ-ის ზრდა ნავარაუდები იქნა 2025 წლისა და მისი შემდგომი წლებისთვის გაკეთებული გარე სტატისტიკური პროგნოზების საფუძველზე.

ბიზნესგეგმის პირველი სამი წლისთვის შემდეგი დამატებითი დაშვებები გაკეთდა:

- დამატებითი სინერგიები გაზრდის ხარჯთეფექტიანობას და გააუმჯობესებს საოპერაციო ფინანსურ ბერკეტებს;
- სხვა ჯანდაცვის მომსახურების მიმართულებების ზრდა მაღალი საბაზრო მოთხოვნიდან და ეკონომიკური ზრდის ფაქტორიდან გამომდინარე.

სხვა არამატერიალურ აქტივებში შედის ლიცენზიები და კომპიუტერული პროგრამები, რომელთა საბალანსო ღირებულებაც 2021 წლის 30 ივნისისთვის 29,523 ლარია (2020 წ.: 33,458 ლარი). კომპანიის არამატერიალური აქტივების თვითღირებულება 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 37,607 ლარს შეადგენდა (2020 წ.: 40,594 ლარი), ხოლო დაგროვილი ამორტიზაცია 8,084 ლარს (2020 წ.: 7,136 ლარი). 2021 და 2020 წლებში ჯგუფს არ გაუსხვისებია თავისი არამატერიალური აქტივები. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ჯგუფს არ გამოუვლენია არამატერიალური აქტივების გაუფასურება (31 ივნისი 2020 წ.: ნული).

9. ნასესხები სახსრები

	<i>30 ივნისი 2021</i>	<i>31 დეკემბერი 2020</i>
უცხოური ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	93,590	109,011
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	-	5,198
სხვა	33,418	34,572
ნასესხები სახსრები, სულ	127,008	148,781

2021 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდის ბოლოს, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 7.6% იყო (2020 წ.: 7.43%), ხოლო ვადა - 1,142 დღე (2020 წ.: 1,323 დღე). სხვა ნასესხები სახსრები, ძირითადად, შედგება მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხისგან. ზოგიერთი სესხი მიღებულია გარკვეული პირობებით, როგორცაა მოზიდული სახსრების წილის, კაპიტალური ინვესტიციების, უძრავი ქონების მინიმალური ოდენობის და სხვა სხვადასხვა ლიმიტის შენარჩუნება. 2021 წლის 30 ივნისისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი კრედიტორების ყველა პირობას აკმაყოფილებდა.

10. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

2019 წლის ნოემბერში ევექსი ჰოსპიტლებმა გამოუშვა 50 მილიონი ლარის 5-წლიანი ვადის მქონე ადგილობრივი ობლიგაციები. ობლიგაციები გამოიშვა ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური კუპონის განაკვეთი იყო 11.6%, რაც წარმოადგენს 310 საბაზისო პუნქტის პრემიას სებ-ის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირება) განაკვეთზე. შემოსავალი გამოყენებული იქნა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების და ასევე მანამდე გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების რეფინანსირებისთვის. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მთლიანი ნაშთი 113,238 ლარია (2020 წ.: 112,986 ლარი). 2017 წლის ივლისში ევექსი ჰოსპიტლებმა გამოუშვა 90 მილიონი ლარის 5-წლიანი ვადის მქონე ადგილობრივი ობლიგაციები. ობლიგაციები გამოიშვა ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური კუპონის განაკვეთი იყო 10.5%, რაც წარმოადგენს 350 საბაზისო პუნქტის პრემიას სებ-ის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირება) განაკვეთზე. მოგება გამოყენებულ იქნა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების რეფინანსირებისთვის, რომლებიც ფინანსირების შედარებით უფრო ძვირადღირებულ წყაროს წარმოადგენს, და ასევე გეგმიური მიმდინარე კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებისთვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ჯგუფს სასამართლო დავა ჰქონდა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ჯამში 5,209 ლარის თანხაზე (2020 წ.: 5,876 ლარი). სოციალური მომსახურების სააგენტოსთან დავა ძირითადად უკავშირდებოდა საპროცესო დარღვევებს სამედიცინო დოკუმენტაციაში, ასევე ბილინგისა და ანგარიშფაქტურების გამოწერის პროცესში.

გადასახადით დაბეგვრა

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ექვევქემ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები “ჯგუფის” ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვევქემ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ შემოწმების პერიოდის წინა ხუთი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებური განმარტება ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის პირობითი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	<u>30 ივნისი 2021</u>	<u>31 დეკემბერი 2020</u>
კაპიტალური დაბანდების ვალდებულება	22	32
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან		
- იჯარა, რომელიც იფარება მაქსიმუმ 1 წელიწადში	71	46
- იჯარა, რომელიც იფარება მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 5 წელიწადში	284	184
სულ მინიმალური ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან	355	230
სულ წმინდა ფინანსური ვალდებულებები	377	262

ჯგუფს არ ჰქონდა პირობითი საიჯარო ქირა ან ქვეიჯარის გადახდები.

12. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ევექსის მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობა იყო 47,828,217 (2020 წ.: 47,828,217). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 0.1 ლარს შეადგენდა და მათგან ყველა სრულად იყო განაღდებული. 2020 წლის 30 ივნისით დასრულებულ პერიოდში გამოცხადდა დივიდენდი 23,999 ლარის ოდენობით, საიდანაც განაწილდა 11,992 ლარი.

სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება

სხვა რეზერვები შედგება არსებულ შვილობილ კომპანიებში დამატებითი წილის შესყიდვის შედეგად მიღებული წმინდა ზარალისგან. ნაშთი 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 14,604 ლარი იყო (2020 წ.: 14,604 ლარი).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

	<u>30 ივნისი 2021</u>	<u>30 ივნისი 2020</u>
სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	110,415	87,690
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	35,544	31,307
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	7,106	7,723
გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	(1,316)	(1,370)
სულ შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	<u>151,749</u>	<u>125,350</u>

სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან წარმოდგენილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავლით.

ჯგუფმა აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	<u>30 ივნისი 2021</u>	<u>31 დეკემბერი 2020</u>
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	107,981	88,435

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. ჯგუფი მიმართავს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მიზანშეწონილობას და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

14. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

	<u>30 ივნისი 2021</u>	<u>30 ივნისი 2020</u>
ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი	(46,891)	(45,367)
ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება	(31,566)	(24,793)
კომუნალური და სხვა ხარჯი	(7,947)	(6,661)
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	(3,566)	(2,429)
სულ ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	<u>(89,970)</u>	<u>(79,250)</u>

კომუნალურ და სხვა ხარჯებში შედის ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, დასუფთავების, წყალმომარაგების, საწვავის, სამედიცინო აპარატურის სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები. არაპირდაპირი ხელფასები, რომლებიც არ აისახა ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებში 2021 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდით შეადგენდა 13,161 ლარს (30 ივნისი 2020 წ.: 11,930 ლარი) და წარმოდგენილი იყო ცალკე მუხლად მოგებაში ან ზარალში. 2020 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯად აღიარებული ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის მთლიანმა თანხამ შეადგინა 60,052 ლარი (30 ივნისი 2020 წ.: 57,297 ლარი).

15. წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის გეგმები

2021 წლის იანვარში საქართველოს ჯანდაცვის დირექტორებმა გადაწყვიტეს ვექს ჰოსპიტლების 176,840 ჩვეულებრივი აქციის გადაცემა ვექს ჰოსპიტლების დირექტორისთვის. აქციები გადაიგა უფლების გადაცემის სამწლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობაც უწყვეტი დასაქმებაა. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2020 წლის 31 იანვარს. გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლის შეფასების მიხედვით წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის 11.79 ლარი. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აქციებზე უფლების გადაცემა არ მომხდარა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია (გაგრძელება)

2020 წლის იანვარში საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის 158,326 ჩვეულებრივი აქციის გადაცემა ევექსის დირექტორისთვის. აქციები გადაიცა უფლების გადაცემის სამწლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობაც უწყვეტი დასაქმებაა. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2020 წლის 31 იანვარს. ჯგუფის შეფასებით, გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის 4.63 ლარი იყო. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის საბაზრო ფასების საფუძველზე. 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აქციებზე უფლების გადაცემა არ მომხდარა.

16. კაპიტალის მართვა

მართული კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი, სხვა რეზერვებისგან და არასაკონტროლო პაკეტებისგან. ჯგუფს განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით აქციონერებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და აქციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ცვლილება ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში:

	ნასესხები სახსრები	გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სულ
31 დეკემბერი, 2019 წ.	148,499	111,953	260,452
აღებული სესხები	59,855	-	59,855
ნასესხები სახსრების დაფარვა	(60,533)	-	(60,533)
შვილობილი კომპანიის გასხვისება	(6,580)	-	(6,580)
საპროცენტო ხარჯი	13,841	13,820	27,661
გადახდილი პროცენტი	(13,435)	(12,787)	(26,222)
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	7,134	-	7,134
31 დეკემბერი, 2020 წ.	148,781	112,986	261,767
აღებული სესხები	11,000	-	11,000
ნასესხები სახსრების დაფარვა	(29,717)	-	(29,717)
საპროცენტო ხარჯი	4,888	6,401	11,289
გადახდილი პროცენტი	(5,012)	(6,149)	(11,161)
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	(2,932)	-	(2,932)
30 ივნისი 2020 წ.	127,008	113,238	240,246

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა

<i>30 ივნისი 2021 წ.</i>	<i>ერთ წელზე ნაკლები</i>	<i>ერთ წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	44,483	-	44,483
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	94,844	13,137	107,981
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	19,214	-	19,214
გადახდილი ავანსები	5,396	-	5,396
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	105	-	105
ძირითადი საშუალებები	-	405,388	405,388
აქტივის გამოყენების უფლება	-	2,363	2,363
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	-	45,685	45,685
სხვა აქტივები	15,838	5,160	20,998
სულ აქტივები	179,880	471,733	651,613
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	21,328	-	21,328
კრედიტორული დავალიანება	40,788	-	40,788
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-	-	-
საიჯარო ვალდებულებები	624	2,168	2,792
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები	-	389	389
ნასესხები სახსრები	30,914	96,094	127,008
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	3,538	109,700	113,238
სხვა ვალდებულებები	1,518	17,009	18,527
სულ ვალდებულებები	98,710	225,360	324,070
ნეტო პოზიცია	81,170	246,373	327,543
აკუმულირებული გეპი	81,170	327,543	

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

<i>31 დეკემბერი, 2020 წ.</i>	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	66,918	-	66,918
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	69,265	19,170	88,435
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16,426	-	16,426
გადახდილი ავანსები	4,033	-	4,033
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	86	-	86
ძირითადი საშუალებები	-	406,764	406,764
აქტივის გამოყენების უფლება	-	2,752	2,752
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	-	49,380	49,380
სხვა აქტივები	10,570	15,877	26,447
სულ აქტივები	167,298	493,943	661,241
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	17,823	-	17,823
კრედიტორული დავალიანება	41,262	-	41,262
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	15	-	15
საიჯარო ვალდებულებები	594	2,574	3,168
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები	-	389	389
ნასესხები სახსრები	33,880	114,901	148,781
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	3,286	109,700	112,986
სხვა ვალდებულებები	-	4,750	4,750
სულ ვალდებულებები	96,860	232,314	329,174
წმინდა პოზიცია	70,438	261,629	332,067
აკუმულირებული გეპი	70,438	332,067	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

თანხები და ვადები ვალდებულებებთან მიმართებაში ეყრდნობა მენეჯმენტის საუკეთესო შეფასებას, რომელსაც ხელს უწყობს სტატისტიკური ტექნიკა და წარული გამოცდილება. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდურობის ამჟამინდელი დონე საკმარისია ყველა მისი ამჟამინდელი ვალდებულებების შესასრულებლად და ვალდებულებების დროულად დასაფარად.

18. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ჯგუფი შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით. მათში ასევე შესულია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღრიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში.

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამარ- თლიანი ღირებუ- ლება 30-ივნ-21	საბალანსო ღირებუ- ლება 30-ივნ-21	აღლიარბელი შემოსულობა (ზარალი) 30-ივნ-21
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები						
წილის შესყიდვასთან დაკავშირებული დავალიანება: საწარმოთა შესყიდვისთვის დაკავებული თანხა	-	-	389	389	389	-
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	44,483	-	44,483	44,483	-
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	-	107,981	107,981	107,981	-
აქტივის გამოყენების უფლება სხვა აქტივები: გაცემული სესხები	-	-	3,818 6,233	3,818 6,233	2,363 6,233	-
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	-	-	126,349	126,349	127,008	659
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	113,051	113,051	113,238	187
საიჯარო ვალდებულებები	-	-	2,745	2,745	2,792	47

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამართლიანი ღირებულება 31-დეკ-20	საბალანსო ღირებულება 31-დეკ-20	აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი) 31-დეკ-20
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
სხვა აქტივები: წარმოებული ფინანსური აქტივები	-	349	-	349	349	-
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები						
წილის შესყიდვასთან დაკავშირებული დავალიანება: საწარმოთა შესყიდვისთვის დაკავებული თანხა	-	-	389	389	389	-
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	66,918	-	66,918	66,918	-
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	-	88,435	88,435	88,435	-
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	-	-	12,871	12,871	12,871	-
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	-	-	149,793	149,793	148,781	(1,012)
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	113,189	113,189	112,986	(203)
საიჯარო ვალდებულებები	-	-	3,224	3,224	3,168	(56)

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

მიიჩნევა, რომ იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ ყველა მოკლევადიანი მისაღები ანგარიშის საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის მიხედვით, ფულის ბაზრის არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის.

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

სს „ევექსი ჰოსპიტლები“

მმართველობითი ანგარიშგება

2021 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

შინაარსი

მმართველობითი ანგარიშგება

1. საქმიანობის მიმოხილვა 1
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება 2
3. არაფინანსური ანგარიშგება..... 2

1. საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი

სს „ევექსი ჰოსპიტლები“ (შემდგომში - „ევექსი“ ან „კომპანია“) არის 2014 წლის 1 აგვისტოს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ა. ბელიაშვილის ქ. 142, თბილისი, საქართველო. კომპანია სამედიცინო მომსახურებას უწევს მომხმარებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოების ქსელის მეშვეობით.

2021 წლის 30 ივნისისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევექსის 100%-იანი წილის მფლობელი იყო სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების საბოლოო მშობელი კომპანია იყო ინგლისში, ლონდონში, დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალი“. „ჯორჯია კაპიტალის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია: ინგლისი, W1K 5EH, ლონდონი, ბრუკ სთრითი #84. „ჯორჯია კაპიტალის“ რეგისტრაციის ნომერია 10852406.

კომპანიის უმსხვილესი დებიტორი სახელმწიფოა, რომლის მიმართაც კომპანიას მოთხოვნა გააჩნია „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ (შემდგომში „სჯკ“) ფარგლებში. ეს პროგრამა სახელმწიფომ 2013 წელს შემოიღო და ის ფარავს საქართველოს მთელს მოსახლეობას, მათ შორის 2 მილიონზე მეტ ისეთ ადამიანს, რომლებსაც ამ პროგრამის შემოღებამდე არ ჰქონდათ ჯანმრთელობის დაზღვევა. პროგრამის დანერგვა რამდენიმე ეტაპს მოიცავდა:

- მარტი, 2013. უფასო გადაუდებელი სტაციონარული და ლიმიტირებული ამბულატორიული სერვისების შეთავაზება მოხდა იმათთვის, ვინც აქამდე არ სარგებლობდა სახელმწიფო ან კერძო სადაზღვევო სერვისებით (დაახლ. 2 მილიონი ადამიანი, მათ შორის 6 წელს ზემოთ ბავშვები და მოზარდები)
- ივლისი, 2013. სჯკ გაფართოვდა და მოიცვა ინტენსიური თერაპია, გეგმიური თერაპია, გეგმიური ქირურგია, ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობაც (მათ შორის რადიოთერაპია, ქიმიოთერაპია და ჰორმონალური თერაპია) და ასევე მშობიარობის ხარჯები;
- აპრილი 2014. ჯსკ-მ ჩაანაცვლა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა, რომელიც ემსახურებოდა სოციალურად დაუცვენ მოქალაქეებს 2007 წლიდან;
- სექტემბერი, 2014. სჯკ-ს ჩაანაცვლა მეორე სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა (165-3 დადგენილების შესაბამისად), რომელიც ემსახურებოდა პენსიონერებს, 6 წლამდე ბავშვებსა და სტუდენტებს.

სჯკ-ს ანაზღაურების სქემა შერჩეულ სერვისებზე საქართველოში გამოიყურება შემდეგნაირად:

მომსახურება	ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ, %
გეგმიური ამბულატორიული მომსახურება	70%
ოჯახის ექიმის მომსახურება და საბაზისო ლაბორატორიული კვლევები	100%
ურგენტული სტაციონარული მომსახურება	70/100% არაუმეტეს 15,000 ლარისა
გეგმიური ქირურგია და მასთან დაკავშირებული კვლევები	70%; წლიური ლიმიტი—15,000 ლარი
ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა	80%; წლიური ლიმიტი—12,000 ლარი
მშობიარობა	500 ლარი; საკეისრო კვეთა –800 ლარი

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ჰოსპიტლები

კომპანია ჯამში ფლობს 17 ჰოსპიტალს ჯამში 2,596 საწოლით. **ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან - **151,749,000 ლ**

საერთო შემოსავალი - **61,779,000 ლ**

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე – **41,949,000 ლ**

წლის მოგება - **19,438,000 ლ**

ბიზნესის სტრუქტურა

კომპანია არის ჯანდაცვის მომსახურების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი ბაზარზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სწრაფად მზარდ, უპირატესად კერძო საკუთრებაში მყოფ ეკოსისტემას. ჩვენ ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია გვიჭირავს ბაზარზე შეთავაზებული სერვისების რაოდენობით, აგრეთვე სტაციონარული და ამბულატორიული სერვისების მრავალფეროვნებით. კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისები გათვლილია ფართო საზოგადოებაზე.

საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

კომპანიის შემოსავალი 2021 წელს პანდემიამდე პერიოდის, 2019 წლის პირველი 6 თვის მაჩვენებელს 2.7%-ით აღემატება. კომპანია წარმატებით განაგრძობს COVID-19-ით გამოწვეული რისკების მინიმიზაციას.

ვექსი ცდილობს რაც შეიძლება გააფართოვოს შემოსავლის წყაროები და, ამ გზით, შეამციროს დამოკიდებულება სჯკ-ზე. ამ მიზნით ჩვენ განვაგრძობთ გეგმიური და შერჩევითი სერვისების რიცხვის ზრდას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ეს საკითხი დეტალურად არის განხილული ამავე ანგარიშის მესამე პარაგრაფში (არაფინანსური ანგარიშგება).

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება**კოდექსის პრაქტიკის მიმოხილვა**

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთვის პრიორიტეტულია კორპორაციული მართვის სტანდარტების მაღალ დონეზე შენარჩუნება.

აქციონერთა საერთო კრება, რაც არის კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო და საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის დებულების თანახმად, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, მათ შორის, თუმცა არამარტო, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- კომპანიის დებულებაში ცვლილება;
- კომპანიის რეორგანიზაცია, შერწყმა, გამოყოფა ან გადაცემა სხვა იურიდიული პირისთვის, ლიკვიდაცია;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა;
- ეთიკის კოდექსის შემუშავება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის;
- დირექტორის ანგარიშის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების სქემის შემუშავება;
- გარე აუდიტორის შერჩევა; წლიური ანგარიშების დამტკიცება

მმართველობითი ორგანო

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ყველა მთავარი გადაწყვეტილება. ის ირჩევს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორის დანიშვნასა და მის ზედამხედველობაზე. კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციებში შედის.

სამეთვალყურეო საბჭო და შესაბამისი კომიტეტები პასუხისმგებელია კომპანიის გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრასა და სწორი პრიორიტეტების დასახვაში. საბჭო ასევე პასუხისმგებელია რისკების მართვასა და მიტიგაციაზე.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ოთხი წევრისაგან, აქედან ერთი არის დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი. ჩვენ გვჯერა, რომ საბჭოს ზომა და შემადგენლობა საუკეთესოა დადგენილი მიზნების მისაღწევად.

საბჭოს აქვს ფორმალური და გამჭვირვალე პროცესები წევრების შერჩევისა და დანიშვნის პროცესში. მიზანი არის, რომ საბჭო კარგად იყოს დაბალანსებული და იდეალურად მოერგოს ბიზნესის ინტერესებს. კომპანია მუდმივად ცდილობს, რომ აღმოფხვრას უკანონო და უსამართლო დისკრიმინაცია. დირექტორთა საბჭო მიესალმება დივერსიფიკაციას ყველა ფორმით, რომელიც ასახულია მის დივერსიფიკაციის პოლიტიკაში. დივერსიფიკირებული უნარები, ცოდნა, ეროვნება, რელიგია და სხვა ფაქტორები მხვედველობაში იქნება მიღებული ახალი დირექტორის დანიშვნის პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის დანიშვნის დროს, გადაწყვეტილება ყოველთვის კანდიდატის დამსახურების მიხედვით იქნება მიღებული.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლები და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გამოყენებული სხვადასხვა პოლიტიკები (მათ შორის, დივერსიფიკაციის პოლიტიკა) მიმოხილულია ამ დოკუმენტის არაფინანსური ანგარიშგების ნაწილში.

3. არაფინანსური ანგარიშგება

არაფინანსური საკითხები

გარემოს დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კომპანიის საქმიანობას ზეგავლენა აქვს გარემოზე და ამ საკითხს ძალიან სერიოზულად ვევიდებით. ზუსტად ამ მიზნით კომპანიაში არის შექმნილი გარემოს დაცვის მიმართულება რომელიც კონკრეტულად გარემოს დაცვის საკითხებზე არის ორიენტირებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით სამედიცინო ნარჩენებია, რომელიც ყველაზე მსხვილი ნარჩენი პროდუქტია ჩვენს საქმიანობაში.

სამედიცინო ნარჩენების უტალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია საკითხია. ნარჩენების გარემოზე მავნედ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელი პროცესების სწორად მართვით. ჩვენ ვიცავთ პოლიტიკის მიხედვით აღიარებულ ნორმებს, რომელიც ჩვენს ვებსაიტზეა გამოქვეყნებული: <http://ghg.com.ge/policies>

სამედიცინო მარაგების მართვის პროცედურები, რომელიც კომპანიაშია დანერგილი, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ადგენს შესაბამის პროცედურებს ამ რისკებთან განსამკლავებლად.

ჩვენ დავენერგეთ სამედიცინო ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა. პერსონალი ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ავსებს სპეციალიზებულ ფორმებს, სადაც კონკრეტულად არის მითითებული ნარჩენის სახეობა, წონა და ტრანსპორტირების ფორმა. კომპანიაში ჩატარდა შიდა ტრენინგები ამ თემაზე, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში თანამშრომლებს შესაბამისი სერტიფიკატები დაურიგდათ.

თითოეულ კლინიკაში სპეციალიზებული ოთახებია შექმნილი, სადაც სამედიცინო ნარჩენები ინახება (არაუმეტეს 24 საათისა), სანამ მათი შენობიდან გატანა მოხდება. ზიანის შემცირების მიზნით კომპანია სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციისთვის იყენებს კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც ამ საკითხში არის სპეციალიზებული.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება, რომელიც ჩვენი საქმიანობის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს.

სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანიის თითოეული წევრი საკუთარ როლს თამაშობს კომპანიის წარმატებასა და მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში. ჩვენ გავზარდეთ მომსახურების მრავალფეროვნება და სერვისების რაოდენობა, თანამშრომელთა რიცხვი კი 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 9,200-ზე მეტს შეადგენდა. შედეგად, კომპანია ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია ქვეყანაში.

კომპანია სტანდარტულ რეჟიმში განიხილავს ყველა დასაქმების აპლიკაციას, რომელიც შშმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწყვედეთ მუშაობა.

ადამიანის უფლებების დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. კომპანია უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს თავისი თანამშრომლებისთვის, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ასევე ვრცელდება მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე.

ჩვენი კორპორატიული სახელმძღვანელო აწესებს პრიორიტეტებს ამ საკითხთან მიმართებაში და აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ კონტროლებს, რომელიც დანერგილია კომპანიაში, რათა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა რგოლში დაცული იყოს. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://ghg.com.ge/policies>

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ბისზნესსა და მის რეპუტაციაზე.

ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წაგახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება.

კომპანიის კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://ghg.com.ge/policies>

დივერსიფიკაციის პოლიტიკა

კომპანია მუდმივად ცდილობს უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციის აღმოფხვრას და აფასებს განსხვავებებს, რომლებიც მრავალფეროვანმა სამუშაო ძალებმა მოუტანა ორგანიზაციას. უნარ-ჩვევების მრავალფეროვნება, გამოცდილება, ტექნიკური ექსპერტიზა, ეროვნება, ეთნიკური კუთვნილება და სქესი სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღება საბჭოში ახალი დირექტორის დანიშვნისას. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, საბჭოს ნებისმიერი დანიშვნა ყოველთვის მოხდება დამსახურების საფუძველზე.

კომპანიის მიერ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის დეტალური აღწერა მოცემულია შემდეგ მისამართზე: <http://ghg.com.ge/policies>

ბიზნესმოდელის მიმოხილვა

ჩვენი ბიზნესი მოდელი საკმაოდ ინტეგრირებულია, სადაც პოლიკლინიკები ხშირად არის მომხმარებელთან ინტერაქციის პირველი წერტილი, რის შემდეგაც ისინი გადამისამართდებიან ან რაიონულ, ან რეფერალურ ჰოსპიტალში.

სერვისების მოკლე აღწერა გამოიყურება შემდეგნაირად:

პოლიკლინიკა: მომხმარებელს სთავაზობს მხოლოდ ამბულატორიულ სერვისებს.

რაიონული საავადმყოფო: მომხმარებელს სთავაზობს გაფართოვებულ ამბულატორიულ სერვისებს, ასევე რიგ მულტიპროფილურ სტაციონარულ სერვისებს.

რეფერალური საავადმყოფო: მომხმარებელს სთავაზობს კომპლექსური და სპეციალური სერვისების ფართო სპექტრს, სტაციონარულ და ამბულატორიულ სერვისებს.

საქმიანობის რისკების ანალიზი

კომპანია ოპერირებს ისეთ ბიზნესგარემოში, სადაც სხვადასხვა რისკები და გაურკვევლობები არსებობს, რომელთა უგულობელყოფამ შესაძლოა მატერიალური ეფექტი იქონიოს ბიზნესზე. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ რისკების ეფექტური მართვა და ძლიერი შიდა კონტროლების სისტემა საკვანძო რგოლია სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის და ჩვენი მომხმარებლებისა და უბრალოდ სთეიქჰოლდერების ინტერესების დასაცავად.

ჩვენ გვაქვს რისკის მართვის ფორმალიზებული პოლიტიკა, რომელიც დეტალურად გაწერს პროცედურებს, ადგენს ავტორიზაციების სხვადასხვა დონეებს და თავის თავში მოიაზრებს რეპორტირებას. სამეთვალყურეო საბჭო და კომპანიის მენეჯმენტი სრულად არის პასუხისმგებელი კომპანიის რისკების მართვასა და მიტიგაციაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვეველობები

ძირითადი რისკები და გაურკვეველობები, რომლებიც გამოვლენილი იყო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, გამოიყურება შემდეგნაირად:

- კომპანია ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება კომპანიის რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში. კომპანიაში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა კომპანიამ კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. კომპანიის იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა მატერიალური ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში. კომპანიაში რეგულარულად ტარდება შიდა აუდიტი, რომელიც გამოცდილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ კეთდება. შედეგები განიხილება კლინიკური უსაფრთხოებისა და ხარისხის მიმართულების მიერ ყოველკვარტალურად.
- კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ექიმები და სხვა პროფესიონალები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, კომპანიის განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური ექიმების, მედდებისა და სხვა პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და კომპანია ბევრ რესურსსა და ენერჯიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება მაღალ ბონუსებსა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.
- კომპანია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსაგან მიღებულ შემოსავალზე. სახელმწიფომ შესაძლოა დააგვიანოს თანხების ჩარიცხვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შემცირებულმა ტარიფებმა და გადახდის ვადის გაზრდამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შემოსავალსა და მომგებიანობაზე. კომპანია ამ რისკის შემცირებას ცდილობს და დაწყებული აქვს მუშაობა შემოსავლების დივერსიფიკაციასა და ამბულატორიული სერვისების რაოდენობის გაზრდაზე.
- კომპანიას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი. კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს და/ან ეს ინფორმაცია მესამე პირის ხელში მოხვდეს. ამ რისკების მინიმიზაციის მიზნით, 2017 წელს, კომპანიამ დააარსა კორპორატიული უსაფრთხოების დეპარტამენტი და ის მაღალკვალიფიციური კადრებით დააკომპლექტა. 2021 წლის ბოლომდე გაწერილია სტრატეგია და სამოქმედო გეგმაც. კომპანია ასევე თანამშრომლობს კონტრაქტორ კომპანიასთან კიბერ-უსაფრთხოების საკითხებში.

მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების შედეგის პროცესთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი მართვის სისტემები და კონტროლები. კომპანიაში დანერგილია კონტროლები ფინანსური რეპორტინგის პროცესზე, მათ შორის კონტროლები კონსოლიდაციის პროცესზე. ფინანსური დეპარტამენტი ყოველთვიურად ამზადებს შედეგების რეპორტს, რომელსაც იგი წარუდგენს კომპანიის მენეჯმენტს. რეპორტი მოიცავს ყოველთვიური შედეგების მიმოხილვას, ასევე შედეგების ბიუჯეტთან, ისტორიულ მონაცემებთან და შესაბამის სტრატეგიულ გეგმებთან შედარებას. ყოველი კვარტლის ბოლოს, ფინანსური დირექტორი, ფინანსურ გუნდთან ერთად მიმოხილავს ფინანსურ რეპორტინგთან დაკავშირებულ შიდა კონტროლებს, მნიშვნელოვან დაკვირვებებს კი წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი არაფინანსური მაჩვენებელი:

- საშუალო დაყოვნება კლინიკაში: 5,6 დღე
- საწოლთა დატვირთულობის მაჩვენებელი: 62,0%

გამოყენებული პოლიტიკის აღწერა

კომპანიაში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა, რომლის მიზანია გარემოზე მავნედ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება.

კომპანიაში დანერგილია ე.წ. მამხილებელი (whistleblowing) და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. მამხილებელი პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომელს აქვს საშუალება ანონიმურად დასვას საკითხი ნებისმიერ ბიზნესპროცესის გამართულობასა და სამართლიანობაზე. თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება და სამეთვალყურეო საბჭოს მიხედვით, ეს პოლიტიკა ეფექტურადაა დანერგილი კომპანიაში.

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია.

მშობელი კომპანიის ახლადდაფუძნებული რისკის მართვის დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში მთელს კომპანიაში.

ჩვენ ასევე შევიმუშავეთ კონფლიქტების ავტორიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვაფასებთ ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს კომპანიის მასშტაბით და ვებმარებით სამეთვალყურეო საბჭოს მსგავსი საკითხების მონიტორინგსა და კონფლიქტის დაშვებადობის განსაზღვრაში.

COVID-19 და ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19-ით გამოწვეული გლობალური პანდემიის შედეგად, 2020 წელს კომპანიამ დასახა სამოქმედო გეგმა, რათა დაეკმაყოფილებინა გარე მოთხოვნა, ჩვენი მომხმარებლებისა და პაციენტების საჭიროებები და ასევე უზრუნველყო ჩვენი თანამშრომლების კეთილდღეობა და საქმიანობა ორგანიზაციის დონეზე.

2020 წლის განმავლობაში COVID-19-ის ვირუსის ფართო გავრცელების გამო ბიზნესმა მოახდინა ჯანდაცვის მომსახურების ექვსი ობიექტის მობილიზაცია, სადაც ხდებოდა მხოლოდ კოვიდ-დაავადებული პაციენტების მიღება და ასევე ჯანდაცვის მომსახურების ჰიბრიდული შვიდი ობიექტის მობილიზაცია, რომლებიც ემსახურებოდა როგორც კოვიდ-დაავადებულ, ისე სხვა პაციენტებს. ასეთი ობიექტების მიერ წარმოქმნილმა შემოსავალმა 2021 წლის განმავლობაში 34,327 ლარი შეადგინა.

ჯგუფი მუდმივ კონტაქტს ინარჩუნებს საქართველოს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების თარიღისთვის მათგან მოელის შემდგომ მითითებებს, თუკი დამატებითი ზომების მიღება გახდება საჭირო. მთელ მსოფლიოზე COVID-19-ის გავლენით გამოწვეული გაურკვევლობის და ამ გავლენის პოტენციური ხანგრძლივობის გამო, ჯგუფი ხელახლა განიხილავს თავისი კაპიტალური დანახარჯების პროექტებს და ამჯერად პრიორიტეტად სახავს მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მიმდინარე ბიზნესსაქმიანობისთვის.

ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება COVID-19-ით გამოწვეულ ვითარებას საქართველოში და შესაბამისად მართავს თავის მარაგებს, ლიკვიდურობას და სხვა საქმიანობას.